



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ისიანი სევერიან იოსების ძე



ს. ისიანი

ისიანი სევერიან იოსების ძე (3. V. 1913, სოფ. ზოგიში, ახლანდ. ცაგერის მუნიციპალიტეტი, - VI. 1943, დაკრძალულია ბრიანსკის ძმათა სასაფლაოზე), პოეტი.

1936 დაამთავრა ქუთ. ა. წულუკიძის სახ. პედ. ინ-ტი. პირველი ლექსები დაიბეჭდა 1930, პირველი კრებული - 1940. 1941-იდან მონაწილეობდა II მსოფლიო ომში, რაც ი-ის პოეზიის მთავარი თემა გახდა („სამშობლო“, „მცინვარის გოდება“, „ქართლის ზეიმი“, 1936; „არ დაკარგულან“, 1938), ასევე ომის თემაზეა დაწერილი: „გაანადგურე!“, „ყველაფერს ვხედავ“ (1942), „ნახვამდის“, „საბრძოლო გადაძახილი“ (1943) და სხვ. ი-მ ლექსები უძღვნა ქართ. მხატვრული სიტყვის ოსტატებს („აკაკისადმი“, „ვაჟას

სტრიქონები“, ორივე 1939). აქვს სატრფიალო ლექსებიც („სიყვარულის შემოპარვა“, „საყვედური ჩემს საათს“, ორივე 1939) და სხვა.

თბზ.: ლექსები, თბ., 1945; ლექსები, თბ., 1949; ყველაფერს ვხედავ. ლექსები, თბ., 1957; შეხბვედრა ქართან, ქუთ., 1981.

ლ. ავალიანი
